



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 14

განკარგულება

19/02/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 17 თებერვლის N31/786 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით.

2. შერჩეული საპროექტო წინადადებები ინიცირების სახით წარედგინოს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულებაში იქნება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქუთაისი, კუპრამის ქუჩა №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2020 წლის 19 თებერვლის №36 14 განკარგულების
დანართი №1

2020 წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგ(პ) ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები						
#	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულებასაპროექტო დოკუმენტ. ღირ. გარეშე	მ.შ.მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	მ. შ. ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	ქალაქ წყალტუბოში ჭავჭავაძის ქუჩის მე-2 ჩიხში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	32,220.00	25,609.00	6,611.00	2020 წლის მარტი აგვისტო	პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა.
2	ქალაქ წყალტუბოში კოსტავას ქუჩის #2 ბინის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	73,958.00	65,169.00	8,789.00	2020 წლის მარტი აგვისტო	პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა.
3	ქალაქ წყალტუბოში ერისთავის ქუჩაზე #2 ბინის მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	69,583.00	61,103.00	8,480.00	2020 წლის მარტი აგვისტო	პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა.
4	ქალაქ წყალტუბოში სოლომონ პირველის ქუჩის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.	14,205	8,495.00	5,710.00	2020წლის მარტი აგვისტო	პროექტი მზად არის. ექსპერტიზა გავლილი აქვს მომზადებულია დადებითი დასკვნა.
	ჯამი	189,966	160,376	29,590		

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

